ხელშეკრულება მომსახურების შესყიდვის შესახებ

№ 10/04

ქ. თბილისი „22“ ივნისი 2016 წ.

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.2 „მიმწოდებელი“ ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.3 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.4 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები

2.1 ერთის მხრივ, **სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი** (შემდგომში - „შემსყიდველი”) წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის ჯუანშერ ბურჭულაძის სახით და მეორეს მხრივ **სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო** (შემდგომში - „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი უფროსის მოადგილის ირაკლი გოდუაძის სახით, მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ”საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს N242 დადგენილებისა და “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

3. ხელშეკრულების საგანი

3.1.ხელშეკრულების საგანია ჭიათურის მუნიციპალიტეტში, კაცხის სვეტის მიმდებარედ ტურისტული ინფრასტრუქტურის მშენებლობასთან დაკავშირებით არაუმეტეს 5 მ³ მერქნული რესურსის აღრიცხვის მომსახურების (CPV – 77231400) შესყიდვა (შემდგომში მომსახურება).

4. მომსახურების ღირებულება

4.1. ერთი მ³ მერქნული რესურსის აღრიცხვის ღირებულება შეადგენს 3 (სამი) ლარს (საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით). მომსახურების ტარიფი განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით- „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილების მე-4 დანართის 6.1. პუნქტის შესაბამისად - 3 ლარი აღრიცხულ 1 კუბურ მეტრ მერქნული რესურსზე.

4.2.მთლიანი საორიენტაციო სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 15 (თხუთმეტი) ლარს.

5. მომსახურების მიწოდების პირობები

5.1. მომსახურების მიწოდება უნდა განხორციელდეს საქართველოს სამართლებრივი აქტებით დადგენილი მოთხოვნების განუხრელი დაცვით.

5.2. მომსახურების მიწოდება უნდა დასრულდეს ხელშეკრულების ხელმოწერიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში;

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1.მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, ფაქტიურად მიწოდებული მომსახურების შესაბამისად.

6.2.მომსახურების მიწოდების მიზნით მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველს მერქნული რესურსის აღრიცხვის უწყისი (დანართი 1-ის შესაბამისად).
6.3.შემსყიდველის მხრიდან გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე უფლებამოსილი პირი არის სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის პროექტების შეფასების სამსახურის სანებართვო პროცედურების შტატგარეშე სპეციალისტი გიორგი დემეტრაშვილი.
6.4 მიმწოდებლის მხრიდან მომსახურების ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი არის სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს იმერეთის სატყეო სამსახურის უფროსი მურად ცინცაძე.

7. ანგარიშსწორების პირობები

7.1 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო ანგარიშსწორება ლარებში.
7.2 ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.
7.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ფაქტიურად მიწოდებული მომსახურების ღირებულების შესაბამისად.
7.4. ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და მიმწოდებლის მიერ დადგენილი წესით საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარმოდგენიდან არა უგვიანეს 15 კალენდარული დღის განმავლობაში.

8. მხარეთა ვალდებულებები

8.1. მიმწოდებელი ვალდებულია:
8.1.1. შემსყიდველს მიაწოდოს მომსახურება წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა;
8.1.2. აღრიცხვა განახორციელოს საქართველოში მოქმედი ნორმატიული აქტების შესაბამისად.
8.1.3.კეთილსინდისიერად შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;
8.1.4. დროულად განიხილოს „შემსყიდველის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან;
8.2. შემსყიდველი ვალდებულია:
8.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის" დროული და სრული დაფინანსება (ანაზღაურება).
8.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

9. მხარეთა უფლება

9.1 მიმწოდებელს უფლება აქვს:
9.1.1 ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.
9.2 შემსყიდველს უფლება აქვს:
9.2.1 აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი.
9.2.2 უარი განაცხადოს არასათანადო მომსახურების მიღებაზე.

10. ფორს-მაჟორი

10.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.
10.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, დაფინანსების წყაროს მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

11.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლის გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს „შეთანხმების" სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

12.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

13.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

14. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

14.1.ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების ან შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,07%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

14.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.3 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა

15.1 ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

15.1.1 მხარეთა შეთანხმებით;

15.1.2 ხელშეკრულების 14.3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში.
15.1.3 საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

16. ინსპექტირების პირობები

16.1 ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის პროექტების შეფასების სამსახურის სანებართვო პროცედურების შტატგარეშე სპეციალისტი გიორგი დემეტრაშვილი.
16.2. წინამდებარე ხელშეკრულების 16.1. პუნქტით გათვალისწინებული პირის ფუნქციებია:
16.2.1.მიწოდებული მომსახურების მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;
16.2.2. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება;
16.2.3 საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების განხორციელება;

17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

17.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

18. განსაკუთრებული პირობები

18.1 ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.
18.2 ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება ,,შემსყიდველთან" ერთი ეგზემპლარი ,,მიმწოდებელთან".

„მიმწოდებელი"	"შემსყიდველი"
ს.ს.ი.პ ეროვნული სატყეო სააგენტო	სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
მის. გ. გულუას ქ. N 6 საიდ/კოდი: N 204578581 ტელ: (+995 32) 2 75 39 50 საბანკო რეკვიზიტები: მიმღების ბანკი-სახელმწიფო ხაზინა მიმღების დასახელება-ხაზინის ერთიანი ანგარიში ბანკის კოდი -TRESGE22 სახაზინო კოდი /ანგარიში N707367499	მის. დ. აღმაშენებლის გამზირი N150 საიდ/კოდი: N 206074193 ტელ: (+995 32) 2 43 70 01/02/03 საბანკო რეკვიზიტები: მიმღების ბანკი-სახელმწიფო ხაზინა მიმღების დასახელება-ხაზინის ერთიანი ანგარიში ბანკის კოდი - TRESGE22
----------	----------
ირაკლი გოდუაძე, სააგენტოს უფროსის მოადგილე	ჯუანშერ ბურჭულაძე აღმასრულებელი დირექტორი

1925-მ-3-201605191050

N 1925-მ 19/05/2016

სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების
ფონდის აღმასრულებელ დირექტორს
ბატონ ჯუანშერ ბურჭულაძეს

მოხსენებითი ბარათი

ბატონო ჯუანშერ,

მოგახსენებთ, რომ სსიპ-საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს მსოფლიო ბანკის დაფინანსებით დაგეგმილი აქვს განახორციელოს ჭიათურის მუნიციპალიტეტში, კაცხის სვეტის მიმდებარედ ტურისტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ამავე პროექტით გათვალისწინებულია ინფრასტრუქტურის ფუნქციონირებისათვის საჭირო წყალმომარაგება-კანალიზაციის სისტემის მშენებლობა.

წყალმომარაგება-კანალიზაციის პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების გარკვეული ნაწილი ზედდებაშია სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე არსებულ დაურეგისტრირებელ მიწის ნაკვეთებთან ჭიათურის მუნიციპალიტეტის ნაწილში.

სახელმწიფო ტყის ფონდიდან ფართობის ამოსარიცხად საჭიროა აღირიცხოს ტერიტორიაზე არსებული მერქნული რესურსი, ხოლო აღრიცხვის მომსახურების საფასურს იხდის ამორიცხვის ინიციატორი თანახმად „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებისა.

თანახმად №242 დადგენილების მე-4 დანართისა, როდესაც მერქნული რესურსის აღრიცხვას ახორციელებს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო, განსაზღვრულია შესყიდვის ღირებულება, რაც ერთ კუბურ მეტრზე შეადგენს 3 ლარს.

ზემოაღნიშნულ ტერიტორიებზე ფონდმა სააგენტოსთან ერთად განახორციელა არსებული მერქნული რესურსის მოცულობის წინასწარი გაანგარიშება. გაანგარიშების შემდგომ დადგინდა, რომ აღსარიცხავი მერქნული რესურსის მაქსიმალური მოცულობა შეადგენს დაახლოებით 5 $მ^3$.

ამდენად, საჭიროა სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან გაფორმდეს ხელშეკრულება სათანადო მომსახურების შესყიდვაზე. სახელშეკრულებო თანხა საორიენტაციოდ შეადგენს 15 ლარს.

გთხოვთ, დაავალოთ ფონდის შესაბამის სამსახურებს ზემოაღნიშნული მომსახურების შესყიდვა.

პატივისცემით,
პაატა იაკობაშვილი

სამსახურის უფროსი

პროექტების შეფასების სამსახური